შპს "ნიუ დეველოფმენტ გრუპი" LTD "NDG"

№2014-04/04 29 აპრილი 2014 წ.

შპს „სინათლის ქალაქი"-ს
დირექტორს ნ. ტოგონიძეს

შპს „ნიუ დეველოფმენტ გრუპი"-ს საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი მდებარე თბილისში, ნუცუბიძე ვაშლიჯვერის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, 1000 კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.260 (იხ.დან №1)

მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხაზობრივი ნაგებობა კოდი №01.00.081 (იხ.დან №2). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 აპრილის №8772 წერილის თანახმად განმარტებულია, რომ ხაზოვბრივი ნაგებობა, რომლის საკადასტრო კოდია 01.00.081 წარმოადგენს ქ. თბილსის თვითმართველი ერთეულის საკუთრებას, ხაზობრივი ნაგებობის აღწერილობა: გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენები 14051,58 გრძივი მეტრი, გარე განათების საყრდენები 499 ცალი. (იხ. დან №3).

მინდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსაურმა ვერ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით და 2014 წლის 15 აპრილის №1229851 წერილით (იხ. დან №4) განმარტა, რომ შპს „ნიუ დეველოფმენტ გრუპ"-მა თბილისის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარუდგინოს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ხაზობრივი ნაგებობის (ს/კ01.00.081) მესკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაგვრთოთ ნება ჩვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვაწარმოოთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის შესაბამისი სამუშაოები, აქვე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში კომპანია თანახმაა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხაზობრივი ნაგებობს გადაადგილება.

დანართი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. შაკადასრტო გეგმა
3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი.
4. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წერილი.

პატივისცემით
შპს „ნიუ დეველოფმენტ კომპანი"-ს დირექტორი: /კ. ადეიშვილი/

საქართველო, ქ.თბილისი,ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ბ. ბ.1.
საიდენ.კოდი №405031790
ს.ს. „საქართველოს ბანკი"

chavchavadze ave. 49b. b1.tr,Tbilisi
ID code №405031790
JSC "BANK OF GEORGI

საქართველო
შპს " სინათლის ქალაქი "
თბილისი 0182, თვალჭრელიძის I შეს. №7
ტელ.: +995 32 54 83 37, +995 32 18 38 69
sinatliskalaki@yahoo.com

GEORGIA
LTD "CITY OF LIGHT"
Tbilisi 0182, Tvalchrelidze I Lane №7
Tel.: +995 32 54 83 37, +995 32 18 38 69

№ 1-01/414 „30" 04 2014 წ.

შ.პ.ს " ნიუ დეველოფმენტ გრუპი"-ს
დირექტორს ბ/ნ კ. ადეიშვილს

თქვენი წერილის (№2014-04/04 29.04.2014წ) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ შ.პ.ს " ნიუ დეველოფმენტ გრუპი"-ს საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, (საკ.კოდი: 01.14.15.001.260) სამშენებლო სამუშაოების დაწყება, გარე განათების ხაზობრივ ნაგებობას (კოდი№01.00.081) ხელს არ უშლის.

პატივისცემით,
დირექტორი: / ნ. ტოგონიძე /

შემსრ. გ. ქალდანი
საკ. ტელ. 599 900 183

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011754144333814

თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2; ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41; www.napr.gov.ge

 # 87172

25 / აპრილი / **2014** წ.

ნათია ხვედელიძეს

2014 წლის 25 აპრილს შემოსული თქვენი №80305/17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, თქვენს მიერ წარმოდგენილ ნახაზზე მითითებულ ტერიტორიაზე (იხ დანართი) თბილისი ვაკე - საბურთალოს რაიონი, უბანი N10-10 საკადასტრო კოდი N01.00.081 ხაზოვან ნაგებობაზე - საკუთრების ობიექტის აღწერილობა: გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენები 14051.58 გრძივი მეტრი.გარე განათების საყრდენები 499 ცალი. რეგისტრირებულია ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრების უფლება.
უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი:

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქიონების მართვის საქალაქო სამსახურის 03.02.2009 წლის N06-8/902 წერილი.

განცხადების რეგ: N882009024902 - 11.02.2009.

ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთზე აღნაგობის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის ქირავნობის, იჯარის ხელშეკრულებები არ არის რეგისტრირებული.

დანართი: 1 გვერდი.

საინფორმაციო სერვისების განყოფილების
უფროსი

დარეჯან გოგებაშვილი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.15.001.260*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი *882013047103*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1000* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 08.02.13



ქალაქ თბილისის მერია

2298194
07/140911012-25
14.04.2014

შპს ნიუ დეველოფმენტ გრუპ (405031790),
საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
ი.ჭავჭავაძის გამზ., N 49ბ, ბ. 1

თქვენი 11.03.2014 წლის (#07/140911012-25 08.04.14) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთში (სკ #01.14.15.001.260) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელების მიზნით 18 (თვრამეტი) ძირი ფოთლოვანი ხე-მცენარის (ტირიფი და ვერხვი) მოჭრის ნებართვას დიამეტრებით: 62,1სმ, 43,0სმ, 46,5სმ, 61,0სმ, 45,3სმ, 54,5სმ, 35,4სმ, 55,1სმ, 31,5სმ, 54,5სმ, 53,2სმ, 31,9სმ, 31,9სმ, 56,0სმ, 40,0სმ, 28,7სმ, 25,5სმ, 31,9სმ, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მოიჭრას აღნიშნული ხე-მცენარეები 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ტელ: 5-77-17-00-82)

ხოლო საკომპენსაციოდ, ჩვენს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე უნდა დაირგოს 25 ფოთლოვანი (ცაცხვი, ნეკერჩხალი 1,80-2,0 მ სიმაღლის) და 25 წიწვოვანი (ფიჭვი 1,3-1,6 მ-მ სიმაღლის) ნერგი, შემდგომში ერთ წლიანი მოვლა-პატრონობით.

სამუშაო უნდა განხორციელდეს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი — გიორგი ქორქაშვილი